

## უსაფრთხოება სკოლებში: ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება

*მომზადა განათლების ექსპერტმა ნატალია დიუიმ  
თარგმნა ანა ცხოვრებოვამ*

### 1. სკოლებში არსებული ძალადობის მიმოხილვა

ბოლო 30 წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიზარდა სკოლებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევები. 1989-1979 წლებში 16 ამგვარი ფაქტი მოხდა; 1979-1988 წლებში 29 შემთხვევა დაფიქსირდა, 1989-1998 წლებში – 52, ხოლო 1999-2008 წლებში – 63.<sup>1</sup> ამ სტატისტიკური მონაცემების ფონზე ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა არასწორ ნაბიჯებს დგამენ მასწავლებლები (სკოლები) და მშობლები, რომ სკოლა ხდება არათ უფრო მეტად უსაფრთხო, არამედ პირიქით.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ როგორია კულტურა უმეტეს სკოლებში. დღეს არსებული კულტურა ხელს უწყობს შეჯიბრებითობას, სპორტული მიღწევებისათვის ბრძოლას, აძლიერებს თვითმმართველობასა და აძლიერებს ნდობის , ხდება მამაკაცურობის კულტის დამკვიდრება ვაჟებს შორის. თუ ამ მახასიათებლებს დავაჯგუფებთ შემდეგი მახასიათებლის მიზედვით: რას ნიშნავს პოპულარობა სკოლაში ბიჭებისა და გოგონებისათვის, მივიღებთ, რომ ბიჭი ათლექტური უნდა იყოს და გოგონებს შორის პოპულარობით სარგებლობდეს, აკადემიური საგნების მიმართ გულგრილი, ჩხუბში საკუთარი თავის დამცველი და მდიდარი. გოგონებისათვის კი, პოპულარულობა ნიშნავს ფიზიკურ მიმზიდველობას (ტანის წყობას), შესაძლებლობას იცვამდნენ მოდის ბოლო ტენდენციების გათვალისწინებით, იყვნენ თვითდაჯერებულები, გაბედულები, მდიდრები და კონკურენტუნარიანები. სკოლაში ყველას როდი შეუძლია დააკმაყოფილოს პოპულარობის ასეთი სტანდარტები. ამიტომაც, განსხვავებული ბავშვები დაცინვისა და ჩაგვრის ობიექტები ხდებიან.

166 არასრულწლოვანი დამნაშავედან, რომელთაგანაც 147 მამრობითი სქესის წარმომადგენელია, უმრავლესობა იბრძოდა თანატოლებს შორის აღიარების მოსაპოვებლად. ისინი არ იყვნენ ათლექტური აღნაგობის, არ იყვნენ პოპულარულები გოგონებს შორის, მაგრამ სასკოლო საგნების შესწავლაში ძალიან ძლიერები იყვნენ; ასევე, ისინი იყვნენ ნაკლებ მდიდრები ვიდრე დანარჩენი პოპულარული ბიჭები. წიგნის „მჩაგვრელი საზოგადოება“ ავტორი ჯესი კლანი, , განსაცვიფრებელ დასკვნას აკეთებს: ყველა დამნაშავე სკოლაში იყო ჩაგრული, არაპოპულარული და ამიტომაც, მათ გადაწყვიტეს, რომ გასწორებოდნენ და დაესაჯათ ისინი ვინც მათ აწამებდა და ამცირებდა. ამასთან, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალადობა გამოვლინდა როგორც კარგ, ისე ცუდ სკოლებში.

ზოგიერთ შემთხვევაში ძალადობა ნამდვილად შემაშფოთებელია, მაგალითად ისეთ შემთხვევებში, როგორებიცაა გოგონებს შორის ძალადობა იმ მიზეზით თუ ვინ ვის ხვდება, ან ჭორების ნიადაგზე. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს 144 დამნაშავე ჩვეულებრივი ინდივიდები იყვნენ, რომლებიც არ იყვნენ შემჩნეულნი ძალადობასა ან სხვა ნებისმიერ არაკანონიერ ქმედებაში. სამწუხაროდ, ერთ დღეს მათ გადაწყვიტეს შური ეძიათ და ამიტომაც იმავე მამაკაცურობის, დომინანტურობისა და სისასტიკის

---

<sup>1</sup> Klein, J. (2012). *The Bully Society*. New York, NY & London, UK: New York University Press.

კულტურის თანამონაწილეები გახდნენ, რომელსაც მანამდე მხარს არ უჭერდნენ. მათ უნდოდათ სხვებისთვის დაემტკიცებინათ, რომ ისინიც წარმოადგენენ (რას?), თუმცა ეს ხდებოდა სულ რაღაც რამოდენიმე საათით ადრე, ვიდრე ისინი საკუთარ თანატოლებს და საკუთარ თავსაც დაღუპავდნენ საქციელით.

ერთერთი ყველაზე შემზარავი სასკოლო სროლის შემთხვევა კოლუმბინის(სწორია? კოლუმბია ხომ არა?) უმაღლეს სასწავლებელში მოხდა. 1999 წლის 20 აპრილს პატარა, პროვინციულ ქალაქ ლიტელტონში, კოლორადოს შტატი, ორმა უფროსკლასელმა, დილან კლებოლდმა და ერიკ ჰარისმა შუა სასკოლო გაკვეთილების დროს შური იძიეს. ბიჭების გეგმა იყო, რომ ასობით საკუთარი თანატოლი დაეხოცათ იარაღებით, დანებითა და უამრავი ბომბით. ორმა ბიჭმა დერეფნები დაიარა და გეგმის სისრულეში მოიყვანას შეუდგა. როცა სასკოლო გაკვეთილები დასრულდა, მოკლული იყო 12 მოსწავლე, ერთი მასწავლებელი და თვით ორივე მკვლელიც (მათ თავი მოიკლეს); დაშავდა 21 ადამიანი<sup>2</sup>.

ბიჭებს დაახლოებით ერთი წელი დასჭირდათ იმისთვის, რომ თავდასხმა დაეგეგმათ. ის რაც ამ შემთხვევისათვის დამახასიათებელია, ისევე როგორც სხვა შემთხვევებისათვის, არის გარკვეული მინიშნებები, რომლებიც ჩნდებოდა პირად ვებ გვერდებზე, მათ ჟურნალებში და ა.შ. თუმცა, არავინ გამოჩნდა სამარისად ყურადღებიანი იმისთვის, რომ რაიმე შეენიშნა. სხვა შემთხვევებშიც, მიუხედავად იმისა, რომ სროლისმთელი გეგმააღწერილი იყო ფეისბუქის გვერდებზე, ეს სერიოზულად არავის აღუქვამს და არავის მიუმართავს პოლიციისათვის ან ოფიციალური პირებისათვის.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსწავლეების დაახლოებით 20% გარიყულია. ისინი ჩაგვრის ობიექტები და შესაბამისად პოტენციური მოძალადეები ხდებიან. სხვა შოკისმომგვრელი ციფრები მეტყველებს, რომ სტუდენტების დაახლოებით 50%-ზე მეტი აცხადებს, რომ ისინი არ ცდილობენ ჩაერიონ როცა ხედავენ რომ ვიღაცა იჩაგრება. სკოლებში არ არსებობს მხარდაჭერისა და თანატოლის დაცვის კულტურა. სკოლები იღებენ იმ გამოსაცდელი საწყისის(ანუ?) სახეს სადაც მხოლოდ ყველაზე ძლიერი გადარჩება. არიან ისეთი ბავშვებიც, ვინც ჩაგვრის გამო ხელში იარაღს თანატოლების დასახოცად კი არა, არამედ თვითმკვლელობისთვის იღებენ. ისინი აცდენენ სკოლას, არიან დეპრესიაში და არ შეუძლიათ კარგად ისწავლონ რადგან შემინებულნი და შემფოთებულები არიან.

სასკოლო დამნაშავეთაგან ბევრსიზიდავდა სრული უზენაესობის(რის?) მძლავრი იდეები და ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ იმგვარი ძალის გამომსახველი სიმბოლოებით როგორებიცაა ჰიტლერის, ნიცემეს და სატანისტური ნიშნები. კოლუმბინის დამნაშავეები სვასტიკის ნიშანს ატარებდნენ და „ჰაილ ჰიტლერ“-ს სკანდირებდნენ. მათ საკუთარი თავდასხმა 20 აპრილს, ჰიტლერის დაბადების დღეზე განახორციელეს.

## 2. სექსუალური ძალადობა

ჩაგვრის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც სკოლებში იჩენს თავს არის სექსუალური ძალადობა ბიჭებსა და გოგონებს შორის. საუნივერსიტეტო ქალთა ამერიკული ასოციაციის მიერ ჩატარებული(the American Association of the University Women (AAUW) <sup>3</sup> მრავალმხრივი კვლევა სექსუალური ძალადობის აღმამფოთებელ სტატისტიკას წარმოაჩენს 7–12 წლის ასაკის მოსწავლეებს შორის. 2000

<sup>2</sup> <http://history1900s.about.com/od/famouscrimesscandals/a/columbine.htm>

<sup>3</sup> <http://www.aauw.org/learn/research>

გამოკითხულიდან 48% აცხადებს, რომ მათ განუცდიათ სექსუალური ძალადობა სკოლაში. თითქმის ყველა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ასეთმა შემთხვევებმა მათზე ნეგატიური გავლენა მოახდინა: უძილობა, სკოლაში სიარულის სურვილის დაკარგვა, რაიმე კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირების შეუძლებლობა. ბავშვები აღნიშნავენ, რომ ისინი იძულებული გახდნენ თავი აერიდებინათ კონკრეტული მარშრუტისათვის სახლისაკენ მიმავალ გზაზე და ა.შ. კვლევა აჩვენებს, რომ გოგონები უფრო ხშირად ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ვიდრე ბიჭები. ასეთი სახის ძალადობა თავად გოგონებიდანაც მომდინარეობს, არა მხოლოდ ბიჭებისგან. უარყოფითი ვერბალური კომენტარები და ხუმრობები ძალადობის ძირითად ნაწილს შეადგენენ. თუმცა, ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც სახეზეა.

სტუდენტების დაახლოებით 30% ძალადობის მსხვერპლი სოციალური მედიის, ინტერნეტის, ე-მაილებისა და ტექსტური მესიჯების საშუალებით ხდებოდა. ეს სექსუალური ძალადობის ახალი ეტაპია, რომელსაც პიროვნების რეპუტაციის დანგრევა ძალიან სწრაფად და ეფექტურად შეუძლია. შემამფოთებელი ფაქტია, რომ გოგონების მხოლოდ 9%-მა აცნობა მსაწავლებელს ინციდენტის შესახებ. გამოკითხულთა მეოთხედმა მხოლოდ მშობლებს უთხრა ამის შესახებ, ხოლო დანარჩენი ნაწილი ამ ფაქტს საიდუმლოდ ინახავდა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო შეხედულებები იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს სკოლებში ამ ფენომენის აღმოსაფხვრელად. მათ ისურვეს, რომ სკოლაში იყოს სპეციალურად დანიშნული თანამშრომელი, რომელთანაც ისინი შეძლებენ საუბარს, ან ჰქონდეთ ისეთ ონლაინ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რომლებიც მათ დაეხმარება ამგვარ საკითხებზე ინფორმაციის მიღებაში, ან განხორციელდეს სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკა სექსუალურ ძალადობასთან მიმართებაში. ყველაზე გავრცელებული რეკომენდაცია მოსწავლეებისაგან იყო პრობლემის ანონიმურად დაფიქსირების შესაძლებლობა.

### 3. პარტნიორზე ძალადობა

კიდევ ერთი სამწუხარო ფენომენია პარტნიორზე ძალადობა. სასკოლო სროლების მსხვერპლები ბევრ შემთხვევაში იყვნენ გოგონები, რომლებმაც მიატოვეს მოძალადეები. 1997-98 წლის მასაჩუსეტსის შტატის 9-12 კლასის მდედრობითი სქესის ახალგაზრდების რისკ-ქცევების<sup>4</sup> კვლევამ აჩვენა, რომ 5 მოსწავლიდან ერთი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო მეგობარი ბიჭის ან სექსუალური პარტნიორის მხრიდან.<sup>5</sup> გოგონებს, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ყოფილან, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვთ. ეს პრობლემებია – ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, საკვების მონელების დარღვევა, სუიციდისადმი მიდრეკილება, არასასურველი ორსულობა და სარისკო სექსუალური ქცევა. პარტნიორები ახალ ტექნოლოგიებს იყენებენ მეორე პარტნიორის ქცევის კონტროლისა და მონიტორინგისათვის. როდესაც, ინდივიდი უყურებს ტელევიზორს და ფილმი შეფასებულია როგორც PG-13 (რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ 13 წლის და მეტი ასაკის მოზარდებს შეუძლიათ მისი ყურება) ბავშვებმა შეუძლებელია ნახონ ძალიან აშკარა სექსუალური შინაარსის მქონე ფილმი და მოისმინონ ასეთივე შინაარსის ტექსტები. ფილმები ძირითადად ძალის გამოყენების, ფულის, სექსისა და სროლების შესახებაა. ის რასაც ჩვენ სკოლებში ვხედავთ არის იმის გამოვლინება რაც მასმედიით გადაიცემა. ავიღოთ თუნდაც დისნეის საბავშვო არხი, აქაც არის შესაძლებელი

<sup>4</sup> <http://jama.jamanetwork.com/article.aspx?articleid=194061>

<sup>5</sup> Jay G. Silverman, PhD, “Dating Violence Against Adolescent Girls and Associated Substance Use, Unhealthy Weight Control, Sexual Risk Behavior, Pregnancy, and Suicidality”, *JAMA*, 2001: 286(5)

ბავშვებს შორის ისეთი ქცევები შევნიშნოთ, როგორცაა იმედგაცრუება, შური. მოისმინოთ და ნახოთ კომენტარები. საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან შეხვედრები, (საწყისი ასაკი დაახლოებით 13-15 წელი), კონცა და ა.შ. როდესაც პოპულარული არხი ასეთი ტიპის ურთიერთობებს აჩვენებს, მაშინ ეს ბავშვისთვისაც მისაბამი ხდება.

საბაზო ან საშუალო საფეხურის ბიჭები, რომლებიც გოგონებს არ ხვდებიან ადგილობრივი მწავრელების მიერ მოიაზრებიან როგორც წარუმატებლები. იგივე წესი ვრცელდება გოგონებზეც, რომლებიც ბიჭებს არ ხვდებიან. საზოგადოება იმ კულტურის შედეგებს იმკის, რომელიც თავადვე დანერგა. სასკოლო სროლების 30 წლიან პერიოდში 8 შემთხვევა იყო, როდესაც შეიარაღებულმა მოსწავლემ გოგონა მოკლა. მსხვერპლები ის გოგონები აღმოჩნდნენ ვინც მომავალ დამნაშავეებს შეხვედრებზე უარი უთხრეს.

#### 4. გოგონების ანგარიშსწორება

ბიჭების გულის მონადირება სკოლებში გოგონების ჩხუბის ძირითადი მიზეზია და იშვიათ შემთხვევებში სერიოზული დაზიანებებით და ხანდახან სიკვდილითაც კი მთავრდება. 1997 წელს 14 წლის აზიელი გოგონა ორმა მოსწავლე გოგონამ პარკში შეიტყუა და იქ შვიდმა გოგომ ის სასტიკად სცემა და ბოლოს დაახრჩო. ძალიან ბევრი დამინი შეესწრო ამ ფაქტს, თუმცა თვითმხილველები მხოლოდ და მხოლოდ სეირს უყურებდნენ. ასეთი ძალადობის მიზეზი იყო მოკლული გოგონას მიერ განხორციელებული ზარი რამდენიმე ბიჭთან, რომელთათვისაც მას არ უნდა დაერეკა რადგან ისინი მის „ლიგაში“ (წრეში) არ იყვნენ.

მოკლული გოგონა ოდნავ სრული იყო, მუქკანიანი და მუშათა კლასის წარმომადგენელი ემიგრანტი ოჯახიდან. თავდამსხმელი გოგონები თეთრები იყვნენ, გამხდრები და საშუალო ფენიდან. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვხედავთ რომ თეთრმა გოგონებმა საკუთარ თავს უფლება მისცეს ასე მოქცეულიყვნენ რადგან მათ სჯეროდათ, რომ ისინი უფრო მეტს წარმოადგენდნენ ვიდრე მუქკანიანი გოგო. ამ სტატუსმა მათ საშუალება მისცა სხვათა ქცევა საკუთარი რეგულაციის ქვეშ მოექციათ.

ანგარიშსწორების სხვა გავრცელებული ქცევებია: ჭორების გავრცელება, ზოგიერთი გოგონასთვის მსუბუქი ყოფაქცევის მქონესა და მეძავის სტატუსის მინიჭება, შემდეგ კი ამ ყველაფრის სოციალურ მედიაში გავრცელება. პოპულარული ტელეპროგრამები ცდილობენ ამ გოგონებს შორის ძალადობას გაუმკლავდნენ რადგან ეს საკითხი ეროვნული პრობლემის სახეს იღებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ის გოგონები რომლებიც იჩაგრებიან, თვითმკვლელობას სჩადიან. 15 წლის ირლანდიელი ემიგრანტი მასაჩუსეტსიდან ხვდებოდა პოპულარულ ფეხბურთელს. მისი რეპუტაცია სასტიკად შეურაცხვეს, რასაც მან ვეღარ გაუძლო. სხვა გოგონები ფიქრობდნენ რომ ის მათ „ტერიტორიაზე“ იჭრებოდა.

2003 წელს ერთერთი ანგარიში იუწყებოდა, რომ მოზარდთა კრიმინალის 95%-ს მამრობითი სქესის მოზარდები შეადგენენ, ხოლო 5%-ს – მდედრობითი. დღესდღეობით კი, პროპორცია ასეთია: 80% მამრობითი და 20% მდედრობითი<sup>6</sup>. გოგონებს შორის ძალადობა მატულობს.

---

<sup>6</sup> Garbarino, J. (2006). See Jane hit: why girls are growing more violent and what we can do about it. New York, NY (USA): Penguin Group

## 5. კიბერ ჩაგვრა

ჩაგვრის ახალი სახეობა, რომელიც ბოლო დროს დამკვიდრდა ინტერნეტ რევოლუციის შედეგად – კიბერ ჩაგვრაა. ორგანიზაცია StopCiberbullying.org კიბერ ჩაგვრას განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ სიტუაციას, რომელშიც ბავშვები თინეიჯერს „ტანჯავენ, ემუქრებიან, დასცინიან, ამცირებენ, შეურაცყოფას აყენებენ ან სხვაგვარად ჰყავთ მიზანში ამოღებული...ინტერნეტის, ინტერაქტიული და ციფრული ტექნოლოგიების ან ტელეფონების გამოყენებით“. აშშ-ში სკოლებს გააჩნიათ პროცედურული ნორმები ჩაგვრისაგან თავდასაცავად და მის აღმოსაფხვრელად. ამიტომაც, ბავშვებმა ჩაგვრისათვის ონლაინში გადაინაცვლეს, რადგანაც ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა ძირითადად სკოლის გარეთ აქვთ და თანაც ამგვარად უფრო რთულია მათი ანონიმურობის იდენტიფიცირება. ბავშვები არ ფიქრობენ რომ მათ დაიჭერენ რადგანაც ისინი ანონიმური სახელებს ამოფარებულები მოქმედებენ. მათ არ აწუხებთ უწესო საქციელის გამო სირცხვილის გრძობა, რადგან ამ საქციელს ანონიმური „ნიკ ნეიმების“ გამოყენებით სჩადიან. ბავშვები ვერ ამჩნევენ თუ რაოდენ მტკივნეულია მათი ცუდი ხუმრობები და ჭორები მათივე თანატოლებისათვის, ამიტომაც შეუძლიათ უფრო და უფრო შეუბრალებლები იყვნენ. თუკი მშობლები ზედამხედველობას არ გაწევენ ისინი ვერასოდეს გაიგებენ რომ მათი შვილი „კიბერ მჩაგვრელია“ ან პირიქით- კიბერ ჩაგრული. ამასობაში კი, ჩაგრული ბავშვების რაოდენობა დაუჯერებლად დიდია. ერთერთი კვლევა აჩვენებს, რომ 42% მე-4 და მე-8 კლასელებისა ამბობს, რომ ისინი ონლაინ ჩაგვრის ობიექტები იყვნენ. მხოლოდ ნახევარზე ნაკლებმა აცნობა ამის შესახებ მშობლებს ან სხვა ზრდასრულ ადამიანებს.<sup>7</sup>

თუკი ვინმე ინტერნეტში აკრეფს ტერმინს „კიბერ ჩაგვრა“, უამრავ რეკომენდაციას იპოვის თუ როგორ დაიცვას საკუთარი ბავშვი კიბერ ჩაგვრისაგან. მაგალითისათვის, მშობელს შეუძლია ბავშვის ტელეფონში დაბლოკოს უცნობი ნომრები ან შეზღუდოს ბავშვისათვის ტელეფონით სარგებლობის საათები.

შეერთებულ შტატებში არ არსებობს ფედერალური კანონი მოზარდებს შორის კიბერ ჩაგვრის წინააღმდეგ. თუმცა, რამდენიმე შტატმა კანონმდებლობაში კიბერ ჩაგვრისათვის ჯარიმები დააწესა. დამნაშავე ან დაჯარიმდება ან დაისჯება ორ წლამდე პატიმრობით. მისურის შტატი პირველი იყო, რომელმაც ამგვარი კანონმდებლობა დანერგა. სამწუხაროდ, ამას საფუძვლად 13 წლის მეგან მეიერის თვითმკვლელობის შემთხვევა დაედო, რომელმაც 2006 წლის 17 ოქტომბერს ჩამოიხრჩო თავი მას შემდეგ, რაც მაპროვოცირებელი შეტყობინება მიიღო. ის იმ ბოროტი ხუმრობის მსხვერპლი გახდა, რომელიც მისივე მეზობელმა, 49 წლის მეზობელმა ლორი დრიუმ მოაწყო.

---

<sup>7</sup> ABC News. (September 12, 2006). What parents need to know about cyber bullying: teens are often far ahead of parents when it comes to technology. Retrieved: <http://abcnews.go.com/Primetime/story?id=2425023>



ხუმრობის მიზეზი. მეგანი კი იმპულსური გოგონა იყო, დეპრესიითა და ყურადღების დეფიციტი, ჰიპერაქტიური სპექტრის აშლილობით იტანჯებოდა. მეზობელმა გადაწყვიტა მეგანისთვის მიეწერა როგორც ბიჭს, რომელიც მისით იყო დაინტერესებული.

ლორის ქალიშვილს მეგანი არ მოსწონდა, სწორედ ეს გახდა მიზანმიმართული 6 კვირის განმავლობაში „ბიჭი“ მეგანს ფლირტის ელემენტების შემცველ მესიჯებს უგზავნიდა, თუმცა შემდეგ გოგონამ მისგან დამამცირებელი მესიჯების მიღება დაიწყო ინტერნეტით. „ბიჭი“ გოგონას გარკვეულ სახელებს ეძახდა, ეუბნებოდა, რომ ის ცუდი ადამიანია და ა.შ. მისი ბოლო მესიჯი შემდეგი შინაარსის შემცველი იყო: „მსოფლიო უკეთესი იქნებოდა შენს გარეშე“. მეგანმა ამ მესიჯის მიღებისთანავე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. იმის გამო, რომ იმ დროისათვის არ არსებობდა კიბერ ჩაგვრის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობა, მეზობელმა ციხეში მხოლოდ ერთი წელი გაატარა და 100 000 დოლარით დაჯარიმდა ციხეში 20 წელის გატარების სანაცვლოდ (შტატის კიბერ ჩაგვრის შესახებ კანონმდებლობის თანახმად). ეს იყო პირველი სასამართლო სხდომა გამართული ინტერნეტ ხულიგნობისათვის.<sup>8</sup>

2009 წლის 2 აპრილს წარმომადგენელთა კრებას დასამტკიცებლად წარედგინა ფედერალური კანონი კიბერ ჩაგვრის შესახებ სახელად „მეგან მაიერის სახელობის კიბერ ჩაგვრის საწინააღმდეგო აქტი“. ამ საკანონმდებლო აქტს ფედერალური კანონის სტატუსი ჯერაც არ მოუპოვებია<sup>9</sup> ვინაიდან კანონთან მიმართებაში გამოიკვეთა გარკვეული შეშფოთება სამოქალაქო თავისუფლებების დაკარგვისა და თავისუფალი სიტყვის შესახებ კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან წინააღმდეგობაში მოსვლის თვალსაზრისით. ასევე, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი გრძელვადიანი დაკავების საკნების არარსებობის გამო და იმის გამო, რომ კანონი არასრულწლოვანებზე ვრცელდებოდა. 2006 წელს შეერთებულმა შტატებმა ადამიანებზე ინტერნეტის ქსელის გამოყენებით მუქარა ფედერალურ კრიმინალად გამოაცხადა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ პირებს ეხებოდა ვისაც უკვე შეუსრულდა 18 წელი.

კიბერ ჩაგვრას იმდენად დამანგრეველი ეფექტი აქვს ბავშვებზე, რომ შესაძლოა ბირთვულ იარაღსაც კი შევადაროთ. როდესაც ინფორმაცია ჩნდება ვებ გვერდზე ის საჯაროობას იძენს და მასზე ხელმისაწვდომობა მილიონობით ადამიანს აქვს. ზოგიერთი კვლევები აჩვენებს რომ ტექნოლოგიის ნეგატიურ გავლენასა და მის არასათანადო (არანორმალურ) გამოყენებას პოზიტიური პირადი ურთიერთობების წამოწყების შეუძლებლობა იწვევს. ბავშვები, რომლებიც უფრო დეპრესიულები არიან, ცდილობენ მათთვის სასურველი ურთიერთობები ონლაინ დაამყარონ და არა პირადად. საინტერესოა, რომ ბავშვები ამჯობინებენ კიბერ ჩაგვრის მსხვერპლები გახდნენ ვიდრე კომპიუტერით სარგებლობის პრივილეგია დაკარგონ.

<sup>8</sup> Retrieved from: <http://barbara-pytel.suite101.com/cyber-bullying-is-now-illegal-a87118>

<sup>9</sup> Retrieved from: <http://thomas.loc.gov/cgi-bin/query/z?c111:H.R.1966>:

## 6. ძალადობა სრულწლოვანებში

ჯესი კლაინის წიგნის – „სასკოლო ჩაგვრა“ – კითხვისას, შეიძლება წააწყდე მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჩაგვრა ვრცელდება საზოგადოებაში, რომელშიც მოსწავლეები ნეგატიურ ყურადღებას, უარყოფით კომენტარებს, უსიამოვნო მინიშნებებს ღებულობენ. როცა ერიკ ჰარისის, - კოლუმბინის მსროლელის მიერ თვითმკვლელობამდე დაწერილი წერილი იპოვეს, აღმოჩნდა, რომ ის ადანაშაულებდა არა მხოლოდ ბავშვებს, რომლებიც არ აღიარებდნენ მას, არამედ მასწავლებლებსა და მშობლებსა, რომლებმაც ასწავლეს ბავშვებს არ მიეღოთ ის რაც განსხვავებულია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მასწავლებელი არ ქცევა ადეკვატურად იმ დროს, როდესაც კლასში ჩაგვრის პრევენდენტი წარმოიქმნება. 30 წლის განმავლობაში (1979-2009) 160 სასკოლო სროლის ინციდენტი მოხდა, 150 მშობელი, მასწავლებელი, ადმინისტრატორი, ტრენერი და სხვა ზრდასრული ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა. რას გვეუბნება ჩვენ ეს რიცხვი? შესაძლოა იმას, რომ რაღაც მართებულად არ კეთდება სკოლაში. მაგალითად, სკოლებსა და კოლეჯებში გავრცელებული პრაქტიკაა პიროვნების სპორტულ ჯგუფში მისაღებად გამართული სპეციალური საგამოცდო რიტუალი, რომელიც დაცინვას, დამცირებასა და შეურაცხყოფასაც მოიცავს (hazing). ეს საწყისი რიტუალია, რომელიც გამოიყენება იმის გამოსავლენად, რომ პიროვნება იმსახურებს სპორტულ ჯგუფში მიღებას. ჩვეულებრივ, ახალმოსულები გამოიცდებიან დამამცირებელი და შეურაცხყოფელი ხერხებით. 1979-2009 წლებში ამგვარი გამოცდისას სიკვდილის დაახლოებით 95 შემთხვევა დაფიქსირდა. მოსწავლეების თითქმის 25%-ს ვინც სპორტის მიმდევარია ამგვარი გამოცდის გავლა მოუწია. აღმაშფოთებელი ფაქტია, რომ ამ მოსწავლეების 22% ამბობს, რომ მათი მწვრთნელები ინფორმირებულნი იყვნენ ამგვარი გამოცდის არსებობის შესახებ და ზოგიერთ შემთხვევაში, ეხმარებოდნენ კიდევ მისი მსვლელობის პროცესს.<sup>10</sup> მამ როგორ შეიძლება ასეთი გამოცდის ან ჩაგვრის ტრადიცია აღმოფხვრას, როცა თვით ზრდასრული ადამიანებიც კი არათუ ყურადღებას არ აქცევენ ამ უმსგავსო პრაქტიკას, არამედ მასში მონაწილეობასაც კი იღებენ.

## 7. „მჩაგვრელი“ კულტურა

თუ დავაკვირდებით რა წარმოადგენს ფასეულს ამერიკული საზოგადოებისათვის ადვილად შევამჩნევთ იმავე ფასეულობებს, რომლებიც პრობლემებს წარმოქმნიან სკოლაში. ნაწილი ამგვარი ფასეულობებისა არის შეჯიბრობითობა, კონკურენცია, ძალა, ფინანსური წარმატება, სპორტული მიღწევები, მატერიალიზმი. როგორ უნდა დავეხმაროთ ჩვენს შვილებს იყვნენ შემწყნარებლები, ტოლერენტულები და თანადგომის გამომხატველები, როცა პოპულარული კულტურა ამგვარი ფასეულობების დამკვიდრებას სულაც არ უწყობს ხელს. და თანაც იმ პირობებში, რომ ადამიანები ვინც ამ ფასეულობების მატარებლები არიან, საზოგადოების მიერ სუსტი ხასიათის ადამიანებად აღიქმებიან. ცხოვრება სულ უფრო და უფრო რთული ხდება და მშობლებს მეტი მუშაობა უწევთ. შესაბამისად, მათი შვილების აღზრდა სკოლისა და ძიძის ამარა რჩება. მშობლებმა არჩევანი უნდა გააკეთონ მაგიდაზე საჭმლის არსებობასა და საკუთარი დროის ბავშვთან გატარებას შორის. სახელმწიფო სულ უფრო და უფრო ცოტა რამეს უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეებისათვის. თითქმის ყველა ევროპულ

<sup>10</sup> Allan E. & Madden M. “Hazing in view: College students at risk”, hazing study presented at the University of Maine, March 11, 2008.

სახელმწიფოში უზრუნველყოფილია უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა მთავრობის მიერ. ეს სისტემა ანაზღაურებად დეკრეტულ მშვებულებას უზრუნველყოფს იმისათვის, რომ დედებმა შეძლონ საკუთარი შვილებთან ყოფნა და მათი აღზრდა ცხოვრების ასეთ მნიშვნელოვან პერიოდში. დედებს შეუძლიათ სახლში დარჩნენ სანამ ბავშვები სკოლამდელ დაწესებულებაში შეძლებენ სიარულს. უნგრეთში დედები 3 წლიანი ანაზღაურებადი დეკრეტული მშვებულებით სარგებლობენ. 2004 წელს გამოკითხული 168 ქვეყნიდან, 163 სკუთარი მოქალაქეებისათვის ანაზღაურებად დეკრეტულ მშვებულებას უზრუნველყოფდა მაშინ როცა, შეერთებული შტატები ლესოტოს, პაპუა ახალი გვინეისა და სვაზილენდის შემდეგ იყო რანჟირებაში. რა თქმა უნდა, არცერთიჩამოთვლილი ქვეყანა მსგავს შვებულებას არ უზრუნველყოფს დედებისათვის<sup>11</sup>.



*პროექტი -- "ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ადვოკატირება" -- ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთისმართვისინსტიტუტის (EWMI) პროგრამის -- „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში.*

*ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.*

*სტატია არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.*

„Advocacy for Child Friendly School“ project is implemented through the Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC) program of East-West Management Institute (EWMI).

This program was made possible by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID).

The contents of this article do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.

<sup>11</sup> Harward Study (July 26, 2005). US stands apart from other nations on maternity leave. Associated Press.